

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის
აკადემია



2025-2027 სასწავლო წლის საერთაშორისო ურთიერთობები
და დიპლომატიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის
გზამკვლევი



სარჩევი

1. სამაგისტრო პროგრამის მიმოხილვა

- 1.1 სამაგისტრო პროგრამის ზოგადი აღწერილობა
- 1.2 სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსები
- 1.3 სამაგისტრო პროგრამის მიზანი
- 1.4 სამაგისტრო პროგრამის აქტუალობა
- 1.5 სამაგისტრო პროგრამაზე დასწრების მეთოდი

2. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა

- 2.1 შესარჩევი კანდიდატები
- 2.2 სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა
 - 2.2.1 სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპები
 - 2.2.2 სამაგისტრო პროგრამის კვოტები

3. შეფასების სისტემა

4. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულთა შესაძლებლობები

5. დასაქმების სფერო



1. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმოხილვა

1.1. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ზოგადი აღწერილობა:

- ✦ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატია
- ✦ მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი
MA of International Relations ;
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა კრედიტებით: **123 ECTS კრედიტი;**
- ✦ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა: **2 წელი - 4 სემესტრი.**

1.2. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსები

1.2.1 სავალდებულო სასწავლო კურსები:

1. აკადემიური წერა მაგისტრანტებისთვის;
2. საგარეო პოლიტიკის ანალიზი;
3. საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები;
4. ეროვნული უსაფრთხოება და თავდაცვა;
5. საერთაშორისო სამართალი;
6. ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა;
7. კვლევის მეთოდები და დიზაინი;
8. მოლაპარაკებების ხელოვნება;
9. ჩრდილო ატლანტიკური უსაფრთხოების ისტორია და არქიტექტურა;
10. სამხედრო დიპლომატიის როლი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკასა და უსაფრთხოებაში;
11. საერთაშორისო ორგანიზაციები;
12. კონტინენტური ლიდერები: ძალთა დინამიკა თანამედროვე მსოფლიოში;
13. სამაგისტრო ნაშრომი.

1.2.2 არჩევითი სასწავლო კურსები:



1. დიპლომატიის ისტორია;
2. დაზვერვის ანალიზი;
3. პოსტ-სოციალისტური ტრანსფორმაცია და სამხრეთ კავკასია;
4. სამხედრო ხელოვნების ევოლუცია;
5. სტრატეგიული კომუნიკაცია;
6. საერთაშორისო კონფლიქტები;
7. შავი ზღვის რეგიონი;
8. საქართველოს საგარეო პოლიტიკა;
9. სტრატეგიული ლიდერობა ENG;
10. საქართველოს ახალი და უახლესი სამხედრო ისტორია;
11. რუსეთის საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება;
12. ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა;
13. სამხრეთ კავკასია და ახლო აღმოსავლეთი რეგიონალურ და საერთაშორისო პოლიტიკაში;
14. ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები საერთაშორისო ურთიერთობებში;
15. ეკონომიკური უსაფრთხოება;
16. ჩინეთის საგარეო პოლიტიკა;
17. ეთიკა და ღირებულებები საერთაშორისო ურთიერთობებში;
18. კიბერუსაფრთხოება.

1.3. სამაგისტრო პროგრამის მიზანი

საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სამხედრო და სამოქალაქო კადრების მომზადება, რომელთაც ექნებათ საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული განზომილების, აგრეთვე ამ სფეროში არსებული ემპირიული გამოცდილების სიღმისეული ცოდნა, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს უსაფრთხოების თანამედროვე, ცვალებად და არაპროგნოზირებად გარემოში,



სხვადასხვა კრილში გაანალიზონ როგორც რეგიონული აგრეთვე გლობალური პოლიტიკური პროცესები. პროგრამა უზრუნველყოფს მსმენელებისთვის იმ უნარების განვითარებას, რომლებიც აუცილებელია დინამიურ საერთაშორისო გარემოში დიპლომატიური ბერკეტებისა და სიტუაციური ანალიზის გამოყენებით ეროვნული ინტერესებისათვის რაციონალური და ოპტიმალური პოლიტიკის განსასაზღვრად, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო აუდიტორიის წინაშე ძირეული და მიმდინარე პრობლემატიკის პროფესიულ დონეზე განსახილველად.

1.4. პროგრამის აქტუალობა

საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში პროგრამა) შეთავაზების მიზეზია საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში სტრატეგიული დონის კვალიფიციური სამხედრო და სამოქალაქო ხელმძღვანელი პირების მომზადება, რომლებსაც ექნებათ სფეროს მულტიდისციპლინური, სისტემური და სიღრმისეული ცოდნა. შეეძლება თანამედროვე მრავალფაქტორიან გარემოში, არსებულ, წარმოქმნილ და გაუთვალისწინებელ საფრთხეებზე რეაგირებისათვის შესაბამისი ცოდნა და ღრმა კრიტიკულ ანალიზზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღება.

პროგრამა ასევე აქტუალურია, კარიერული წინსვლის და ოფიცერთა შემადგენლობის სამხედრო წოდებრივი და თანამდებობრივი დაწინაურების არსებულ სისტემასთან შესაბამისობის მიზნით.

1.5. სამაგისტრო პროგრამაზე დასწრების მეთოდი

1.5.1. პირველი სამი სემესტრის განმავლობაში სალექციო პროცესი გადანაწილებულია შემდეგნაირად:

- სავალდებულო სასწავლო კურსები მიმდინარეობს პარასკევს და შაბათს მაგისტრატურაზე სააუდიტორიო სალექციო რეჟიმში;
- არჩევითი სასწავლო კურსები მიმდინარეობს სამუშაო დღის დასრულების შემდგომ, საღამოს საათებში - 19:00 საათის შემდეგ.

1.5.2. მეოთხე სემესტრში მაგისტრატურის მსმენელები სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობენ დაუსწრებელ რეჟიმში. სემესტრის მიმდინარეობისას აქვთ მჭიდრო კომუნიკაცია სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან/ თანახელმძღვანელებთან, როგორც



დისტანციურ, ასევე სააუდიტორიო რეჟიმში (მსმენელის საჭიროების მიხედვით). კვლევაზე მუშაობის პროცესში მაგისტრატურის მსმენელები აქტიურად იყენებენ ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბიბლიოთეკას, აქვთ წვდომა ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებზე და ეროვნული თავდაცვის აკადემიის სხვა სტუდენტურ სერვისებზე.

2. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა

2.1. შესარჩევი კანდიდატები:

- პროგრამაზე სწავლის მსურველებს უნდა ჰქონდეთ არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეები, სამოქალაქო და სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირები;
- უსაფრთხოების სექტორის და სახელმწიფო სტრუქტურების მოქმედი თანამშრომლები.

2.2. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა.

სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპები სამაგისტრო პროგრამაზე ჩასარიცხად კანდიდატებმა:

- უნდა განახორციელონ ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე რეგისტრაცია 2025 წლის 5 მარტიდან 2 აპრილის ჩათვლით (ერთიანი ეროვნული გამოცდების საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის რეგისტრაცია მიმდინარეობს online, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე www.naec.gov.ge; online.naec.ge);
- წარმატებით უნდა ჩააბარონ ერთიანი ეროვნული გამოცდების საერთო სამაგისტრო გამოცდა;
- წარმოადგინონ ინგლისური ენის ცოდნის B2 (NATO-ს სტანდარტი STANAG 2/2/2/2) დონის დამადასტურებელი დოკუმენტი ან ჩააბარონ აკადემიის მიერ ორგანიზებული ინგლისური ენის გამოცდა.



შენიშვნა: STANAG 2/2/2/2 შეფასების სტანდარტებთან დაკავშირებით ინფორმაცია იხილეთ თავდაცვის სამინისტროს ინტერნეტ გვერდზე - <https://mod.gov.ge/ge/page/116/stanag-6001> ან თავდაცვის სამინისტროს შიდა პორტალზე - [pd - mil.ge/english-text](http://pd-mil.ge/english-text)).

კანდიდატს ენის ცოდნის დასადასტურებლად შეუძლია წარმოადგინოს ენის ცოდნის შესაბამისი დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი მინიმუმ CEF B2 (ან შესაბამისი დონის TOEFEL/ILTS/ECL ან სხვა საერთაშორისო ინგლისური ენის გამოცდა) ან წარმოადგინონ დიპლომი/სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს, რომ გავლილი აქვთ ინგლისურენოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა ან სამხედრო საკარიერო კურსი (CCC, CGSC, WAR COLLEGE და ა.შ.);

- წარმატებით უნდა ჩააბარონ მისაღები გამოცდა სპეციალობაში (მისაღები გამოცდის თემატიკა გამოქვეყნდება აკადემიის ვებ-გვერდზე შიდა გამოცდის თარიღამდე ორი კვირით ადრე);
- სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე მაგისტრანტობის კანდიდატები საგანმანათლებლო პროგრამაზე ირიცხებიან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2.3 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვოტები:

- მსმენელთა ჩასარიცხ ადგილებზე კვოტების განაწილება რეგულირდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით.

შენიშვნა:

- თუ სამხედრო/სამოქალაქო მოსამსახურეების რაოდენობა აღემატება პროგრამისათვის არსებული ადგილების რაოდენობას, მისაღები გამოცდის შედეგების მიხედვით შექმნილი რეიტინგის შესაბამისად, პროგრამაზე ჩაირიცხება უფრო მაღალი მაჩვენებლის მქონე სამხედრო/სამოქალაქო მოსამსახურე.
- რომელიმე სახელმწიფო უწყებიდან კანდიდატის არ არსებობის ან საგამოცდო მინიმუმის ვერ გადალახვის შემთხვევაში მათი კვოტა დაემატება თავდაცვის



სამინისტროს (მისაღები გამოცდის შედეგების მიხედვით შექმნილი რეიტინგის შესაბამისად, კურსზე ჩაირიცხება უკეთესი შეფასების მაჩვენებლის მქონე სამხედრო მოსამსახურე).

3. შეფასების სისტემა

საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მაგისტრატურის მსმენელის ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების შესაბამისად; მაგისტრატურის მსმენელთა დატვირთვა მოიცავს: ლექციაზე, სემინარზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ მეცადინეობას, დამოუკიდებელ მუშაობას, სამეცნიერო-კვლევით კომპონენტზე (სამაგისტრო ნაშრომი და სხვა.) მუშაობას, სამაგისტრო ნაშრომის დაცვას, სხვა სახის საქმიანობას სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90

ქულა

გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70

ქულა;

ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:

ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა რაც ნიშნავს, რომ მაგისტრატურის მსმენელს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;



ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, ჩაიჭრა. მაგისტრატურის მსმენელის სტატუსის შეწყვეტის საკითხს განიხილავს აკადემიური საბჭო.

მაგისტრატურის მსმენელს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე სასწავლო კურსში - FX-შეფასების მიღების შემთხვევაში დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

მაგისტრატურის მსმენელთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) კომპეტენციებთან. შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები გაწერილია ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსში. მაგისტრატურის მსმენელთა ცოდნის შეფასება ხდება 100 - ქულიანი სისტემით. შეფასება ითვალისწინებს: შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას; შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი. შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა მაგისტრატურის მსმენელს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კომპონენტებში შუალედური და დასკვნითი შეფასებისა და შუალედური შეფასების კომპონენტების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილია 51%. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). დასკვნითი შეფასება მოიცავს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასებას (20 ქულა), რეცენზენტის შეფასებას (30 ქულა) და სამაგისტრო ნაშრომის შეფასებას საჯარო დაცვაზე (50 ქულა). კრედიტის მიღების მოთხოვნაა მაქსიმალური (100) ქულიდან 51 ქულის ან მეტის მიღება.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე მაგისტრატურის მსმენელმა უნდა შეასრულოს შემდეგი აქტივობები:

9 | 2025-2027 სასწავლო წლის საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის გზამკვლევი



- მოამზადოს მინიმუმ 1 პუბლიკაცია და გამოაქვეყნოს სამეცნიერო ჟურნალში;
- მონაწილეობა მიიღოს 1 კონფერენციაში.

4. სამაგისტრო პროგრამის გავლის შემდეგ კურსდამთავრებულთა შესაძლებლობები:

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს შემდეგი ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები:

- კრიტიკულად იაზრებს საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის საკვანძო მოვლენებს და განსაზღვრავს მათ გავლენას თავდაცვის დაგეგმვასა და ეროვნულ უსაფრთხოებაზე;
- სისტემურად აღწერს პოლიტიკურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდებს, საერთაშორისო ორგანიზაციებში გადაწყვეტილების მიღების პროცესს, საერთაშორისო მოლაპარაკების წარმოების ძირითად მეთოდებს და ინსტრუმენტებს;
- სიღრმისეულად მიმოიხილავს მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, რაც ხელს უწყობს სახელმწიფოთა შორის რაციონალური ბალანსის შენარჩუნებას;
- აცნობიერებს დიპლომატიის არსს, მის განვითარებას და განმარტავს მისი ევოლუციის ეტაპებს.
- ხსნის ომისა და მშვიდობის შესაძლებლობებს საერთაშორისო ურთიერთობებში, შესაბამისი თეორიული ჩარჩოს გამოყენებით;
- განსაზღვრავს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრის გზებს.
- კრიტიკულად აანალიზებს კომპლექსურ დიპლომატიურ სცენარებს აპრობირებული სამართლებრივი ჩარჩოს გამოყენებით;
- აფასებს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრის დიპლომატიურ და სამართლებრივ შესაძლებლობებს.



- აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით, დამოუკიდებლად ახორციელებს კვლევას და ახდენს ზეპირ და წერილობით კომუნიკაციას.

მიღებული ცოდნის საფუძველზე თანმიმდევრულად წარმართავს სწავლის პროცესს და დამოუკიდებლად განსაზღვრავს მის შემდგომ სასწავლო მოთხოვნებს.

5. დასაქმების სფერო

საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ გააგრძელონ საქმიანობა დიპლომატიურ სამსახურში, მათ შორის საელჩოებში, საკონსულოებში და საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წარმომადგენლობის ფარგლებში. ისინი შეძლებენ მუშაობას როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დიპლომატიურ უწყებებში, სადაც საჭიროა სიტუაციური ანალიზის უნარები და დიპლომატიური ბერკეტების გამოყენება.

მნიშვნელოვანი დასაქმების სფეროა ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემა, სადაც კურსდამთავრებულები შეძლებენ იმუშაონ სტრატეგიული ანალიზისა და პოლიტიკის შემუშავების მიმართულებით ან საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ინსტიტუტებში. ასევე, კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ექნებათ საქმიანობა საკონსულტაციო და ანალიტიკურ სფეროებში, სადაც საჭირო იქნება გეოპოლიტიკური ანალიზის მომზადება და სტრატეგიული კონსულტაციების გაწევა. გარდა ამისა, ისინი შეძლებენ მუშაობას მედიასა და საზოგადოებრივ კომუნიკაციებში, როგორც ანალიტიკოსები და ექსპერტები, სადაც მათი ცოდნა ხელს შეუწყობს პოლიტიკურ საკითხებზე სტატიებისა და კვლევების მომზადებას.

კურსდამთავრებულების მიერ ექსპერტიზის განხორციელება იქნება მოთხოვნადი სამეცნიერო და კვლევით ინსტიტუტებში, სადაც ისინი შეძლებენ გლობალური პოლიტიკური პროცესების, უსაფრთხოების და გეოპოლიტიკური ანალიზის კვლევაში მონაწილეობას.

სწავლის გაგრძელება შესაძლებელია უმაღლესი აკადემიური განათლების მესამე საფეხურზე - დოქტორანტურაში, როგორც საქართველოში, ისე – საზღვარგარეთ.



საკონტაქტო პირი:

მაგისტრატურის ხელმძღვანელი

პოლკოვნიკი ირაკლი უჩაძე

ელ ფოსტა: iuchadze@eta.edu.ge

iuchadze@mod.gov.ge

ტელ: +995 577 191980